სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/184

ქ. თბილისი 18 ნოემბერი 2025წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრის“ სატრანსპორტო სისიტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დაქვემდებარებაში გადასვლისა და დებულების ცვლილების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის თამარ ლომინაძის 2025 წლის --- სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 ნოემბრის №01-05-02/26ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მიღებული იქნეს წინადადება სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის №353 დადგენილების საფუძველზე შექმნილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრის“ უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დაქვემდებარებაში გადასვლის თაობაზე.
2. მოწონებული ცენტრის დაქვემდებარებასთან დაკავშირებით ცენტრის დებულებაში შესატანი წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი (დანართი).

3. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**